სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/106

ქ. თბილისი 14 აგვისტო 2020 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე დამხმარე სტრუქტურული ერთეულის „არქიტექტურული ბიუროს“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ნინო იმნაძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული „არქიტექტურული ბიურო“ და დამტკიცდეს მისი დებულება ;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დამტკიცდეს აღნიშნული სტრუქტურული ერთეული და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნინო იმნაძე;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

დემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**